მიმდინარე წლის 26 თებერვალს და 2 მარტს „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციასციის“ („უსმას“) სასწავლო კვლევითი ცენტრის პროექტის „უნივერსიტეტებთან ერთად მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის გაიმართა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ონლაინ ტრენინგი.

ტრენინგის პირველი ნაწილი გაიმართა 26 თებერვალს. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ შემდეგ საკითხებს:

- პროექტის „უნივერსიტეტებთან ერთად მდგრადი განვითარებისთვის“ მიზნები და გაეროს „დღის წესრიგი 2030“.
  მომხსენებელი -„უსმა“-ს პროექტების კოორდინატორი თამარ ახალკაციშვილი.
- „ეკოლოგიური სამართალი“
  მომხსენებელი - პროფესორი დარეჯან ლეკიაშვლი.

ტრენინგი გაიმართა ონლაინ აპლიკაცია ZOOM-ის მეშვეობით. ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ და დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ასოციაციის ახალგაზრდული მიმართულების ხელმძღვანელმა - ალექსანდრე კოპალიანმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პროფესორმა - ალიკა გუჩუამ.